

ა.ა.ი.პ „საქართველოს რაგბის კავშირი“-ს  
სადისციპლინო კომისიის სხდომის ოქმი # 21

ქ.თბილისი

2018 წლის 26 სექტემბერი

სადისციპლინო კომისიის სხდომა ჩატარდა 2018 წლის 26 სექტემბერს, ა.ა.ი.პ. „საქართველოს რაგბის კავშირი“-ს ოფისში.

სადისციპლინო კომისიის სხდომა მოწვეულ იქნა კომისიის თავმჯდომარის დავალებით, სადისციპლინო კომისიის წევრებისთვის შეტყობინებისა და დღის წესრიგის გაგზავნის გზით.

სხდომას ესწრებოდა კომისიის 8 წევრიდან 4 წევრი. სრკ-ს სადისციპლინო კოდექსის მე-5 მუხლის 5.11. პუნქტის თანახმად, სხდომა გამოცხადდა გადაწყვეტილებაუნარიანად, ამის გამო არცერთ დამსწრე წევრს პრეტენზია არ გამოუთქვამს.

**სხდომაზე დამსწრე კომისიის წევრები:** მირიან თავზარაშვილი, ედუარდ ნაჭყებია, ლაშა თავართქილაძე, ირაკლი ჩიქავა.

სხდომას უძღვებოდა კომისიის თავმჯდომარე, მირიან თავზარაშვილი.

სადისციპლინო კომისიამ ზემოაღნიშნული შემადგენლობით, განიხილა სრკ-ს საშეჯიბრო კომიტეტის თავმჯდომარის ნ. მამრიკიშვილის განცხადება, მატჩის მეთვალყურის ი. დოლიძის ოქმი, მთავარი მსაჯის თ. გვირგიშვილის, თანამსაჯის შ. თევზაძის მიერ მოწოდებული ინფორმაცია და წერილობითი მომართვები, ამა წლის 22 სექტემბერს, დიდი 10-ს მატჩზე, გორის „ჯიქი“-სა და თბ „ლელო სარასენს“ შორის, მომხდარი ფაქტის შესახებ

**გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა :**

1. გორის „ჯიქი“-ს მორაგბე დავით კლდიაშვილი - მატჩის ოფიციალური პირის სიტყვიერი შეურაცხყოფა.

სრკ სადისციპლინო კომისიამ იხელმძღვანელა სრკ სადისციპლინო კოდექსის 2.2.2 პუნქტით და ერთხმად მიიღო შემდეგი

**გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა**

1. გორის „ჯიქი“-ს მორაგბე დ. კლდიაშვილი დისკვალიფიცირებული იქნას 10(ათი) სათამაშო კვირით, ხოლო კლუბი დაჯარიმდეს 1000( ათასი) ლარით.
2. საჯარიმო თანხის გადახდის ვადა განისაზღვროს 2018 წლის 26 ოქტომბრამდე.

3. საჯარიმო თანხის მითითებულ ვადაში გადაუხდელობის შემთხვევაში, კლუბ გორის „ჯიქი“-ს მიმართ ამოქმედდება სრკ-ს სადისციპლინო კოდექსის 3.3 პუნქტი.

სრკ სადისციპლინო კომისიის თავმჯდომარე

/მ.თავზარაშვილი/